



დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში

ნოემბერი 2011

დასაქმებისა
და უმუშევრობის
ტენდენციები
საქართველოში

ნოემბერი 2011

სარჩევი

შესავალი	6
უმუშევრობის რეალური ფასი საქართველოში	7
დასაქმების „ხარისხი“ საქართველოში	13
დასკვნები და რეკომენდაციები	16
გამოყენებული ლიტერატურა	19
გრაფიკი 1 უმუშევრობის მაჩვენებელი (%) 1998-2010 www.geostat.ge	8
გრაფიკი 2 უმუშევრობა და მთლიანი შიდა პროდუქტი (2007-2010) www.geostat.ge	8
გრაფიკი 3 დასაქმება საქართველოში (2010) www.ndi.org	9
გრაფიკი 4 განათლების დონის მაჩვენებელი უმუშევრებში (%) 2008 (http://hdr.undp.org)	9
გრაფიკი 5 უმუშევრობა ასაკობრივ ჯგუფში (2010) www.geostat.ge	10
გრაფიკი 6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების % ცვლილება ძირითად ეკონომიკურ სექტორებში (2007–2010) www.geostat.ge	10
გრაფიკი 7 დასაქმებულთა რაოდენობის % ცვლილება ძირითად დამსაქმებელ კერძო სექტორში (2007–2010) www.geostat.ge	11
გრაფიკი 8 მსოფლიო უმუშევრობის მაჩვენებლები 2010 www.economist.com	12
გრაფიკი 9 დასაქმების სახეობები (1998-2010) www.geostat.ge	14
გრაფიკი 10 თვითდასაქმებულთა რაოდენობა 2010 www.geostat.ge	14
გრაფიკი 11 უმუშევრობის დონე (%) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში www.geostat.ge	15
გრაფიკი 12 უმუშევრობა და წარმოება სოფლის მეურნეობის სექტორში 2007-2010 (www.geostat.ge).....	15
გრაფიკი 13 დასაქმებულები, რომლებიც 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობენ (2008) (%) (http://hdr.undp.org)	15

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისათვის ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ ფინანსური მხარდაჭერით, გთავაზობთ მეორე ანგარიშს: „დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში“, როგორც ანგარიშის მეორე „მთავარ თემას.“

ეს საკითხი შევარჩიეთ საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის გამო. ის მოითხოვს დროულ ყურადღებას შესაბამისი უწყებების მხრიდან. ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები და კონკრეტული რეკომენდაციები.

უმუშევრობის რეალური ფასი საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს (McDowell, Thom, Frank & Bernanke, 2006).


ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ეგრეთ-წოდებულ გამოუყენებელი სანარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვღებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება, ანუ, იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს (Knotek, 2007). (ქვემოთ, შევამოწმებთ, ეს ვარაუდი დასტურდება თუ არა საქართველოს შემთხვევაში). გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგად. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებად ქვეყანაშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. სხვაგვარადაა საქართველოში, ვინაიდან ხელისუფლება არანაირ უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვება. მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს (www.economist.com).

ამას უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ზოგადად უმუშევრობის სოციალური ხარჯი ერთად აღებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯებისგან გამომდინარეობს. ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება. ეს ხარჯები, ზოგადად, საზოგადოებას აწვება, ვინაიდან ამ პრობლემებთან გასამკლავებლად სახელმწიფო მეტ თანხებს ხარჯავს, მაგალითად, კრიმინალთან საბრძოლველად მეტი პოლიციელის დაქირავებისთვის (McDowell, et al, 2006).

1998 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა - 12.4%-დან 16.3%-მდე 2010 წლის მდგომარეობით (გრაფიკი 1). საქართველოს ეროვნული სტატისტიკის


გრაფიკი 1

უმუშევრობის მაჩვენებელი (%) 1998-2010
www.geostat.ge



გრაფიკი 2

უმუშევრობა და მთლიანი შიდა პროდუქტი (2007-2010) www.geostat.ge




სამსახურის კვლევითი მეთოდოლოგიის მიხედვით, „15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.“(www.geostat.ge). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უმუშევრობის დონე კიდევ უფრო საგანგაშოა. მეტიც, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16,161 გამოკითხულიდან 67% რესპონდენტი თავს უმუშევრად თვლის (www.ndi.org). რასაკვირველია, ეს ციფრი არააქტიურ მუშახელსაც მოიცავს და ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც სამუშაოს არ ეძებენ. ამ საკითხს ქვევით განვიხილავთ.

ზემოხსენებული ოუკენის კანონის შესამოწმებლად, გთავაზობთ გრაფიკს (გრაფიკი 2), რომელიც უმუშევრობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ინდიკატორების პროცენტულ სხვაობებს ასახავს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს რეალობა ოუკენის კანონის სისწორეს ნაწილობრივ ადასტურებს. ეს მხოლოდ უმუშევრობის გამო არ არის, არამედ იმ ნეგატიური ზეგავლენითაც არის გამოწვეული, რაც გლობალურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა მოახდინა. გარდა ამისა, მთლიანი პროდუქტის მაჩვენებელი არ არის დამოკიდებული მხოლოდ უმუშევრობაზე, არამედ ასევე პროდუქტიულობის დონეზე, მოთხოვნასა და სანარმოო რესურსებზე.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო დასაქმების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის. 2011 წლის სექტემბერში გამოკითხილი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია, ხოლო 72%-ს ნომერ პირველ ადგილობრივ პრობლემად. გარდა ამისა, კითხვაზე, შეიცვალა თუ არა ამ მიმართულებით მდგომარეობა საქართველოში,


გრაფიკი 3

დასაქმება საქართველოში (2010)
www.ndi.org



გრაფიკი 4

განათლების დონის მაჩვენებელი
უმუშევრებში (%) 2008 <http://hdr.undp.org>




33%-მა უპასუხა, რომ მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40%-ს მიაჩნია, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ გამოკითხულთა 50%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუარესდა საზოგადოებაში სიღარიბის დონის თვალსაზრისითაც. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაზე დაყრდნობით, წარმოგიდგინთ გრაფიკს „დასაქმება საქართველოში“ (გრაფიკი 3). როგორც ხედავთ, რესპოდენტთა 31% ან უმუშევარია ან სამუშაოს მაძიებელი, 5% არ ეძებს სამუშაოს, ხოლო 30% არააქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პენსიონერებს, და ა.შ.


უმუშევრობაზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (გრაფიკი 4). ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით (2011-2012 წლები), ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა (www.weforum.org).

ზოგადად, მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებება იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია

გრაფიკი 5
უმუშევრობა ასაკობრივ ჯგუფში (2010)
www.geostat.ge



გრაფიკი 6
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების %
ცვლილება ძირითად ეკონომიკურ სექტორებში
(2007-2010) www.geostat.ge




მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. როგორც პოპულარული გამოცემა „ეკონომისტი“ აღნიშნავს, არსებობს დიდი „შეუსაბამობა“ დამსაქმებლების საჭიროებებსა და იმ უნარ-ჩვევებს შორის, რომლებსაც პოტენციური მუშახელი სთავაზობს (www.economist.com). ეს განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ფასეულობების გადასინჯვა მოხდა და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები „არასათანადო“ აღმოჩნდა. არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. ამ ვარაუდს ადასტურებს გრაფიკი (5), რომელშიც უმუშევართა ასაკობრივი ჯგუფებია ნაჩვენები, რადგან უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ. გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს, ანუ იმ რესპონდენტთა 40%, რომლებიც უმუშევრად თვლიან თავს, 18-35 წლის ადამიანები არიან. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-დან 55 წლამდე მერყეობს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასევე გლობალიზაციის შედეგად, ვაწყდებით უნარ-ჩვევების დეფიციტს ან ენობრივ ბარიერს სამუშაო ძალაში. ეს აჩენს ასაკობრივი დისკრიმინაციის პრობლემას საქართველოს შრომის ბაზარზე, ვინაიდან საბჭოთა განათლებამიღებული სამუშაო ძალა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც კომპანიები პოტენციურ თანამშრომლებს უყენებენ. საკმაოდ ხშირად ვაწყდებით ისეთ განცხადებებს ვაკანსიის თაობაზე, სადაც დისკრიმინაციული მოთხოვნებია, მაგალითად, სამუშაოს დაწყების მსურველი კონკრეტული სქესის ან ასაკისა უნდა იყოს. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დისკრიმინაცია მკაცრი კანონებით რეგულირდება, რომლებიც საქართველოში არ მოქმედებს. გასულ კვირას საქართველოს

გრაფიკი 7

დასაქმებულთა რაოდენობის % ცვლილება ძირითად დამსაქმებელ კერძო სექტორში (2007–2010) www.geostat.ge



პრეზიდენტმა წამოაყენა ინიციატივა, გაათავისუფლოს ის საწარმოები საშემოსავლო გადასახადისაგან, რომლებიც 45-დან 60 წლამდე ასაკის თანამშრომლებს დაიქირავებენ და დამატებითი სტიმულის სახით, საქართველოს მთავრობამ გაუწიოს დახმარება ამ ხალხის შემდგომი გადამზადების სახით, რათა მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (www.president.gov.ge). ბუნდოვანია, თუ როგორ აპირებს საქართველოს მთავრობა ამ ინიციატივის რეალობაში გატარებას, რადგან ამ უკანასკნელმა შესაძლოა გამოიწვიოს უმუშევრობის დონის კიდევ უფრო გაზრდა ახალგაზრდებში, ან შესაძლოა მენარმეებმა ეს ინიციატივა არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით.


კიდევ ერთი უმუშევრობის ტიპი, რომელიც საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს რეალობაში, ციკლური უმუშევრობაა. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და ეკონომიკური რეცესიის დროს ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პროდუქცია მცირდება და წარმოების ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის კლება მოქმედებს. ჩვენ ვცადეთ, დაგვედგინა, რა ტიპის უმუშევრობაა საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული. ამის დადგენის ერთ-ერთი შესაძლო გზა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის წამყვან სექტორებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტულ ცვლილებებზე და ამ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობაზე დაკვირვებაა (გრაფიკები 6 და 7). ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს მთელი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს შეადგენს, ვინაიდან ადგილობრივი დანაზოგები არ არის საკმარისი ადგილობრივი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პროდუქციის ზრდისა და დასაქმების მატების მნიშვნელოვან წყაროდ არის მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრულად ჩავთვალეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინდიკატორი გამოგვეყენებინა, როგორც უმუშევრობის ტენდენციების განმსაზღვრელი.

ბრაზიკი 8

მსოფლიო უმუშევრობის მაჩვენებლები 2010

www.economist.com

Working the figures



ამ გრაფიკებიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში პოზიტიური ცვლილებები გავლენას ახდენს დასაქმების მაჩვენებლებზე, თუმცა ეს პოზიტიური ზემოქმედება არ არის ძლიერი და უარესდება. ზოგ შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების სიჭარბე ნეგატიურად მოქმედებს დასაქმებაზე. მაგალითად, 2010 წელს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 118%-იანი ზრდა აღინიშნა, თუმცა იმავე წელს, დასაქმებულთა 1.9%-იანი კლება დაფიქსირდა ამავე სექტორში. ზემოთ მოცემულ გრაფიკში ნაჩვენებია შეუსაბამობები დასაქმების ზრდასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატებას შორის სექტორების მიხედვით, შეიძლება დროში ჩამორჩენებით აიხსნას და ასევე, იმ ფაქტით, რომ ყველა სექტორს არა აქვს გრძელვადიანი დასაქმების გენერირების პოტენციალი. სავარაუდოდ, საქმე ის არის, რომ ფორმალური დასაქმების მდგრადი ზრდისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მუდმივი და სტაბილური შემოდინება არის აუცილებელი. მოკლედ თუ ვიტყვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დასაქმებაზე არ მოქმედებს იმ მაქსიმალური მასშტაბით, რა მასშტაბითაც შეუძლია, იმოქმედოს. მიგვაჩნია, რომ ამის მიზეზი ისევე და ისევე სტრუქტურული უმუშევრობაა. ამით შეიძლება, ასევე, აიხსნას ისიც, რომ 2007 წელს, ანუ მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი, 12%-იანი მაჩვენებლის პირობებში, უმუშევრობის დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო - 13.3% (www.geostat.ge).

გარდა ამისა, ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით, დაგვედგინა ქვეყანაში უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა, ანუ, ინდივიდთა უმუშევრად ყოფნის პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა. ეს სტატისტიკა ასევე უშუალოდ უკავშირდება უმუშევრობის „ტიპების“ ანალიზს. მიუხედავად უმუშევრობის ტიპისა, ერთი რამ ცხადია - გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი იმათგანია, სადაც უმუშევრობის საერთო დონე ძალიან მაღალია (გრაფიკი 8).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ისევე, როგორც მის მეზობელ ქვეყნებში, უმუშევრობა სერიოზული პრობლემაა და მისი მაჩვენებელი 16%-ს და მეტს აღწევს.

დასაქმების „ხარისხი“ საქართველოში


რა არის თვითდასაქმება?

ერთი მხრივ, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მენარმე იყოს, მეორე მხრივ კი, ადამიანი, რომელსაც უჭირს „ფორმალური“ სამუშაოს პოვნა და იძულებულია, თავის გადასარჩენად თვითდასაქმდეს. ამიტომ, თვითდასაქმების ინტერპრეტირება ორგვარად შეიძლება - როგორც მენარმეობა და როგორც უმუშევრობა (www.ciin.mcmaster.ca). იმისათვის, რომ განვასხვაოთ ნამდვილი თვითდასაქმება და „შენიღბული“ უმუშევრობა, საჭიროა სიღრმისეული კვლევის ჩატარება, რათა შეფასდეს დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულების ცხოვრების დონე.


საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ სექტორში პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია. როგორც პირველად ნარმოებაში, ასევე კვების პროდუქტების გადამამუშავებაში, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს. საკამათო ნამდვილად არ არის ის, რომ მშპ-ში იმ სექტორის წილი, რომელშიც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 50%-ია ჩართული, 9%-ზე მეტი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის, რომ სოფლად უმუშევრობის დონე 7.9%-ს შეადგენს (2010 წლის მონაცემებით), მაშინ, როდესაც ქალაქებში უმუშევრობა 27.2%-ს აღწევს. გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი (www.geostat.ge).

სამუშაოდ გილების შექმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დასაკვები პროდუქტების გადამამუშავების წარმადობის სრული გამოყენების გარეშე ვერ მოხერხდება. ამიტომ, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფორმალურად არიან დასაქმებულები, კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკით ნაჩვენები ციფრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამრიგად, თვითდასაქმებული სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება საკმარისად სტაბილურ ძალად ანდა ის ვერ გამოიმუშავებს საკმარის შემოსავალს იმისათვის, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონე შემცირდეს. მოკლედ თუ ვიტყვი, ფორმალური დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა სერიოზული შეზღუდვაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მე-9 გრაფიკი გვიჩვენებს

ბრაზიკი 9
დასაქმების სახეობები (1998-2010)
www.geostat.ge



ბრაზიკი 10
თვითდასაქმებულთა რაოდენობა 2010
www.geostat.ge



დასაქმების ტიპების ტენდენციებს საქართველოში 1998-2010 წლების პერიოდში. აშკარაა, რომ ერთადერთი კატეგორია, რომელიც სტაბილურ ზრდას აჩვენებს, თვითდასაქმებულთა კატეგორიაა, ხოლო „დაქირავებით“ მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება.


ეს აღმავალი ტენდენცია შესაძლოა შედეგი იყოს იმ ახალი კამპანიის, რომელიც მიკრობიზნესის ყველა მფლობელის რეგისტრირებას გულისხმობს. ერთი მხრივ, ეს სავალდებულო პროცედურაა, ხოლო მეორე მხრივ, მოტივირებულია გადასახადებისგან გათავისუფლების დაპირებით. ამ კამპანიის შედეგად „თვითდასაქმებულთა“ კატეგორია გაიზარდა, როგორც ეს მე-9 გრაფიკში ჩანს. 2010 წლის მდგომარეობით, დასაქმებულთა 62% თვითდასაქმებულია, 38% კი დაქირავებით დასაქმებული (გრაფიკი 10).

თვითდასაქმებულთა მოსახლეობა ძირითადად რეგიონებშია კონცენტრირებული. ამის მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მიწებია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც „საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ სანარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.“ ამაში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ამუშავენ თავიანთი ოჯახის მიწას. ამის შედეგია ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე თბილისში (გრაფიკი 11). რატომ? იმიტომ, რომ პოტენციური სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულად. იმიტომ, თბილისში უმუშევრობის დონე მაღალია - 30.1%.

ვინაიდან სოფლის მეურნეობა დასაქმების უმთავრეს წყაროდ ითვლება, საინტერესოა ამ სექტორის პროდუქციისა და მასში დასაქმებულების მონაცემების განხილვა (გრაფიკი 12). მოცემულ გრაფიკში ორივე ციფრის - როგორც სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოშვების, ასევე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების ინდიკატორების კლება ჩანს. ეს კლება შესაძლოა სოფლიდან ქალაქში და ასევე, საზღვარგარეთ მიგრაციის შედეგი იყოს. ასევე, უნდა აღინიშნოს პროდუქტიულობის დონის მცირედი ზრდა 2010 წელს.


ბრაზიკი 11

უმუშევრობის დონე (%) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში www.geostat.ge



ბრაზიკი 12


უმუშევრობა და წარმოება სოფლის მეურნეობის სექტორში 2007-2010 www.geostat.ge



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი დასაქმებულთა შემოსავალია. მნიშვნელოვანი არა მხოლოდ დასაქმებული ადამიანების დათვლაა, არამედ იმ ადამიანებისა, რომელთა ხელფასიც საშუალო მინიმუმზე დაბალია. მე-13 გრაფიკიდან ჩანს, რომ დასაქმებულთა 17.4%-ი დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობს. განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი ნულის ტოლია, ხოლო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ისევე, როგორც სხვა განვითარებად და ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში, ეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ქვემოთ ჩამოთვლილ ზოგ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი უფრო დაბალია, თუმცა ეს პრობლემას ვერ ჭრის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მონაცემები ასახავს იმ ადამიანებს, რომლებიც თვითდასაქმებულები არიან სოფლის მეურნეობაში და უმეტესად ნატურით იღებენ კომპენსაციას.

ბრაზიკი 13

დასაქმებულები, რომლებიც 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობენ (2008) (%) <http://hdr.undp.org>



დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში დასაქმებული ადამიანების რიცხვის შემცირების მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენციაა. ჩვენ ასევე ხაზი გავუსვით ქვეყანაში სტრუქტურული უმუშევრობის დომინირებას. ერთადერთი კატეგორია, რომელიც მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს, თვითდასაქმებულთა კატეგორიაა. ამავე დროს, ეს კატეგორია უმეტესად სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, ხოლო მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია. ფორმალური დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა სერიოზული შეზღუდვაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. თუ ახალი სამუშაო ადგილები მალე არ შეიქმნა, შედეგი შეიძლება ძალზე ნეგატიური იყოს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ, რეკომენდაციების ნაწილში ჩვენ ფოკუსირებას ვაკეთებთ, როგორც სამუშაო ადგილების წყაროზე, ასევე ინდივიდებზე, და მთლიანად საზოგადოებაზე, უმუშევრობის ნეგატიური ზემოქმედების შემცირებაზე.

მენარმეობა, როგორც დასაქმების წყარო, ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად არის მიჩნეული, ამიტომ ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად. მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშში აღნიშნულია საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები. მათგან პირველი სამი არის: ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მქონე მუშახელი. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა სცადონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრა, რათა მენარმეობა სწრაფად განვითარდეს.

მიგვაჩნია, რომ თავისთავად ფინანსების ხელმისაწვდომობა საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს არ წარმოადგენს, უბრალოდ ეს ფინანსები, განსაკუთრებით სესხების ფორმით, იმ სექტორებისკენ მიედინება, სადაც სამუშაო ადგილების შექმნის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს. მაგალითად, თუ ბანკების მიერ გაცემულ სესხებს დავაკვირდებით, მთელი სესხების 60% კონცენტრირებულია სავაჭრო სექტორში, რომელიც არ არის ფორმალური დასაქმების მთავარი წყარო მაშინ, როდესაც ყველაზე დიდი დამსაქმებელი „ინდუსტრია“ მთელი სესხების მხოლოდ 16%-ს ღებულობს, ხოლო მეორე მსხვილი დამსაქმებელი სექტორი - მშენებლობა, მხოლოდ 7%-ს. რაც შეეხება ინფლაციას, მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა ნაწილობრივ გლობალურ ბაზარზე არსებული ფასების მერყეობით და ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფისკალური დისბალანსით არის გამოწვეული და როგორც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაცხადა, ახლო მომავალში დასტაბილურდება.

მესამე მიზეზი - არაადეკვატური განათლების მქონე მუშახელი, როგორც ამ ნაშრომში აღვნიშნეთ, სტრუქტურული უმუშევრობის მთავარი წყაროა. ამიტომ, საჭიროა ისეთი შემდგომი რეფორმების გატარება განათლების სექტორში, როგორებიცაა განათლების სტანდარტების მოდერნიზაცია, დაწყებითი და საშუალო განათლების საყოველთაო უზრუნველყოფა, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ორგანიზაციებისთვის დახმარების განწევა მათი თანამშრომლების გადამზადებაში, რათა ისინი ახლანდელი ბაზრის მოთხოვნებს უკეთ შეესაბამებოდნენ, და სხვა.

ზოგადად, კომპანიები ისეთი პოტენციური დასაქმებულების ნაკლებობას უჩივიან, რომლებსაც კომპანიების მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები და გამოცდილება გააჩნიათ. ამას მივყავართ სტატისტიკური ინფორმაციისადმი თვისობრივად ახალი მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობამდე. საჭიროა შეიქმნას შრომის ბაზრის მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა და კონკრეტულად განისაზღვროს ამ ბაზის სრულყოფილებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა. ბაზაში აღრიცხული იქნებოდნენ როგორც დასაქმებულები, ასევე უმუშევრები. ბაზა უნდა იყოს სრულყოფილი და სანდო. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უმუშევრის კმაყოფაზე მყოფი ადამიანების რიცხვს. ეს ბაზა ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიებისთვის. უნდა მოხდეს დასაქმების ფორუმების ორგანიზება. ჩვენი აზრით, უმუშევართა ფორუმების ორგანიზება დამსაქმებლებისა და პოტენციური დასაქმებულებისათვის შედეგიანი იქნება, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ურთიერთობების ქსელის შექმნას და ინფორმაციის უფასოდ გაცვლას.

უმუშევრობის ფსიქოლოგიური შედეგების წინაშე როდესაც დგებიან, დასავლეთის ქვეყნები ხშირად სოციალური უსაფრთხოების ქსელის შექმნის საჭიროებაზე საუბრობენ, რათა უმუშევრებმა თავი საზოგადოებიდან გარიყულად არ იგრძნონ. ეს, ჩვეულებრივ, კეთდება უმუშევრობის დახმარების/კომპენსაციის ფორმით. ამა თუ იმ ტიპის უმუშევრობის კომპენსაციის პროგრამები სულ 150 ქვეყანაში ხორციელდება. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროგრამები კეთილდღეობის პროგრამების ფორმით არსებობს, განსაკუთრებით უმუშევრობის დაზღვევის სახით. კეთილდღეობის პროგრამები (პირდაპირი უმუშევრობის კომპენსაციის სახით) საქართველოსთვის შესაფერისი ვარიანტი არ არის, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის შრომის ბაზრისთვის ფორმალური დასაქმების დაბალი მაჩვენებელია დამახასიათებელი, ანუ გადასახადის გადამხდელთა რიცხვი მცირეა. ამიტომ, განვითარებად ქვეყნებში ცოტა ადამიანი თუ იღებს უმუშევრობის შემწეობას. ზოგმა განვითარებადმა ქვეყანამ დაიწყო სავალდებულო დანაზოგის ანგარიშის ინიციატივის განხორციელება, რომლის თანახმადაც დამსაქმებლებს მოეთხოვებათ შემოსავლების 3-9%-ის ამ ანგარიშზე შეტანა. ეს თანხა შეიძლება მაინც არასაკმარისი იყოს დაბალხელფასიანი მშრომლებისათვის, რათა თავი გაიტანონ უმუშევრობის დროს, თუმცა სულ არაფერს მაინც სჯობს.

გარდა ზემოთქმულისა, საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტებში მოხალისედ მუშაობის შესაძლებლობები ძალზედ მცირეა. მოხალისედ მუშაობის შედეგად სახელმწიფო დამატებით ღირებულებას იღებს უფასოდ და მუშახელის კვალიფიკაციის გაზრდაც

ხდება. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საინტერესოა სისტემა, რომელსაც „ბოლო შესაძლებლობის დამქირავებელი“ ეწოდება. ამ სისტემას, რომელმაც ბრიტანეთში გაამართლა, ბრიტანეთის ხელისუფლება იყენებდა და ეხება ახალკურსდამთავრებულებს, რომლებსაც არა აქვთ სამუშაოს მოძებნის გამოცდილება. ამ შემთხვევაში, მთავრობა ახალგაზრდებს დასაქმებით უზრუნველყოფს შედარებით დაბალი ხელფასებით და ამგვარი პრაქტიკა სასარგებლოა ორივე მხარისათვის – ახალგაზრდები იძენენ გამოცდილებას, ხოლო სამთავრობო სექტორი ახალ ძალებს და იდეებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Bishop M. 2011, The great mismatch. The Economist. Retrieved from <http://www.economist.com/node/21528433>
on 20/09/11

Canadian International Labour Network. Self-Employment in Transitional Economies: Entrepreneurship or Disguised Unemployment? Retrieved from <http://www.ciln.mcmaster.ca/papers/seconf/transecns.pdf>
on 2011-09-07

Human Development Reports. Human Development Report 2010. The Real Wealth of Nations: Pathways to Human Development. Retrieved from <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/>
on 2011-08-23

Knotek, Edward S (2007). How useful is Okun's Law. Economic Review, Federal Reserve Bank of Kansas City. Retrieved from <http://www.kansascityfed.org/Publicat/ECONREV/PDF/4q07Knotek.pdf>
on 2011-10-15

McDowell, M., Thom, R., Frank, R. & Bernanke, B. (2006). Principles of Economics. McGraw-Hill Education publications.

National Democratic Institute. Economic Issues are foremost on the minds of Georgians, NDI survey Finds. 10/10/11. Retrieved from <http://www.ndi.org/files/Georgia-Survey-Results-report-101011.pdf>
on 2011-10-20

National Statistics Office of Georgia. Business Statistics. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=212&lang=eng
on 2011-10-28

National Statistics Office of Georgia. Employment and Unemployment. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng
on 2011-08-30

National Statistics Office of Georgia. External Trade and FDI. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng on 2011-09-21

National Statistics Office of Georgia. Labor Force Statistics. Retrieved from http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/methodology/labour%20force%20statistics%20Eng.pdf on 2011-08-01

President of Georgia. The President of Georgia held a Government Cabinet Session in Batumi. Retrieved from <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News/?p=7071> on 2011-10-27

The Economist. Long Term Unemployment. Retrieved from <http://www.economist.com/node/21529096> Retrieved on 05/10/11

World Economic Forum. Global Competitiveness Report 2011-2012. Retrieved from <http://reports.weforum.org/global-competitiveness-2011-2012/> on 2011-10-28



მარჯანიშვილის ქუჩა 5. მეოთხე სართული. ოფისი 417. 01 02. თბილისი. საქართველო

ტელ/ფაქსი: 2 207 305

e-mail. info@eprc.ge

www.eprc.ge